№ 221
ოთხშაბათი, 19 ოკტომბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 221
ოთხშაბათი, 19 ოკტომბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**კნეინა ნინო გიორგის ასული ციციშვილისა, თავადნი იოსებ და დავით ივანეს ძენი ციციშვილნი და თავადი კონსტანტინე გიორგის ძე ამილახვარი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებ სა: პირველი მეუღლისა, მეორენი ძმისა და მესამე სიძისა თვისისა **თავადის ზაალ ივანეს ძის ციციშვილისა**, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ ს. ნიჩბისს, საკუთარს სახლში 20 ამა ოქტომბერს, დილის 9 საათზედ გასვენებაზე და დასაფლავებაზედ დასასწრებად.

(1—1)

## „ივერია“

გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**მისაღები ეგზამენები**

ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში
დანიშნულია 5 გიორგობისთვეს ამა წლისას.

(3—1787—2)

ტფილისი, 14 ოქტომბერი

—

კანცლერის კაპრივის სამსახურიდგან გასვლას, როგორცა სჩანს, დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის ამბიდან, ბერლინში მოელოდენ. ამ ბოლოს უფლების მოყვარე გერმანიის იმპერატორმა სულ უფრო და უფრო ცხადად დაიწყო იმ გზაზედ სვლა, რომელსაც გერმანიაში კონსტიტუციის გადალახვას ეძახიან და საეჭვო იყო, რომ კანონის მტკიცე პატივის მცემელი გენერალი კაპრივი და იმპერატორი ვილჰელმი ერთმანერთთან მოთავსებულიყვნენ.

მოულოდინი გამართლდა, და გრაფის კაპრივის ნაცვლად გერმანიის კანცლერად მიიწოდა იმპერატორმა გამოცდილი დიპლომატი თავადი ჰოჰენლოე, ახლანდელი ელზასისა და ლოტარინგიის მთავარ-მართებელი. ახალის მინისტრის პროგრამმა, უეჭველია იგივე იქნება, რაც თითონ იმპერატორისა, რადგანაც ვილჰელმ მეორეს თავისს ბრძანების აღმასრულებელი მოხელე ნებავს იყოლიოს, და არა დამოუკიდებელი, თავისუფალი მრჩეველი. ამიტომ ძალიან ძნელია იმისი თქმა ამ ჟამად—რას მოიფიქრებენ ახალგაზდა იმპერატორი და იმის უმახლობელესი ვეზირი ჰოჰენლოე და რა აზრს დაადგებიან პოლიტიკაში. რაც შეეხება შინაურს საქმეებს ცხადია, რომ გრაფის კაპრივის გადადგომა გერმანიის შინაურ საქმეებისთვის სასიკეთო არ იქნება, რადგანაც ძველი კანცლერი სამართლიანობის მოყვარე იყო და ძალმომრეობით ტრაბახს თავადს ბისმარკისავით არაოდეს არ იკადრებდა. მაშ გერმანელნი კაპრივის წასვლით მოგებულნი, არამცა და არამც არ უნდა იყვნენ, თუ საზოგადოდ არა, შინაურ ცხოვრებაში მაინც.

დარჩა პოლიტიკა, რომელიც იმპერატორს თავისს საკუთარ ჭკუაზედ მიჰყავს. გარედან მაყურებლისთვის სრულიად გაუგებარია გერმანიის გარეშე პოლიტიკა; ერთი ნაბიჯი ახალგაზდა ხელმწიფისა, მეორეს აღარ ჰგავს და, რომ გგონია—ვილჰელმი დღეს ვისმესი მტერი არისო, თურმე ნუ ბრძანებთ—პირველი მეგობრობის გრძნობა უღვივის ამ სახელმწიფოს მიმართ და მეგობრულად ხელს უწვდის. ასე მოიქცა იგი საფრანგეთის შესახებ, და ასე იქცევა ახლა რუსეთის შესახებაც, რომელსაც აშკარად უმტკიცებს თავისს განწყობილებასა და პატივისცემას.

რუსეთის მეგობრებმა ფრანგებმა თუ იმ დროს, როდესაც ასეთი სამწუხარო ჟამი ადგას რუსეთს ხელმწიფის ავადმყოფობის გამო, რუსის ფასიან ქაღალდების ფასი საგანგებოდ დასწიეს ბირჟაზედ და ისარგებლეს ასეთის გარემოებით, გერმანიის იმპერატორმა-კი ამავე დროს გააუქმა ხუთის წლის წინად გამოცემული ბრძანება, რომლის ძალითაც რუსეთის ფასიან ქაღალდებს არ იღებდენ გირაოდ გერმანიის ბანკებში. ახლა ეს ქაღალდები პირად იმპერატორის ვილჰელმის ბრძანებით მიღებულ იქნებიან გირაოდ, რაიცა დიდი შეღავათია რუსეთისათვის. ასეთი განკარგულება ინება გერმანიის ხელმწიფემ იმ მიზეზის გამო, რომ დღეს რუსეთი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი თავისის ხელმწიფის ავადმყოფობითაო. ამ ორს ერთი მეორეს წინააღმდეგ მაგალითს განმარტება აღარ სჭირია.

მეორეს მხრით ინგლისი, რომელთანაც გერმანიას კარგი კავშირი ჰქონდა, დღეს იმავე გერმანიის იმპერატორისაგან თითქოს უგულებელს ჰყოფილია და თითქოს ამ ორ სახელმწიფოს პოლიტიკაში საერთო აღარა ჰქონდესთ-რა!

ყოველი ესე მოხდა სულ რამდენსამე თვეში და არავინ იცის სად, ან როგორ შედგება სურვილი გერმანიის მბრძანებელისა. უეჭველია იმპერატორს ახალი პოლიტიკური კომბინაციები შეუთხზავს, რომლის შესრულება იმითი დაიწყო, რომ გრაფის კაპრივის ალაგს, თავადი ჰოჰენლოე მიიწვია და რას მოიტანს გერმანიის პოლიტიკის ახალი მიმართულება, ეს ამ ჟამად ძნელი სათქმელია.

ძნელია იმისი გამოცნობაც, რამდენს ხანს გასწევს თვით ეს ახალი პოლიტიკა, რადგანც ნაყოფიერს გონებას გერმანიის ახალგაზდა იმპერატორისას შესაძლოა დაებადოს კიდევ უფრო ახალი და ახალი პოლიტიკური კომბინაციები.

მეველე

## დეპეშა

16 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 15 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ: მთელის დღის განმავლობაში ხელმწიფე იმპერატორს მადა კარგი ჰქონდა, გულის სისუსტემ ცოტათი უკლო, სიმსივნე არ მოჰმატებია, თვითმგრძნობელობა გუშინდელზედ უკეთესი აქვს.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 16 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ: ღამე ხელმწიფე იმპერატორმა რიგიანად მოისვენა. მადა რიგიანი აქვს. სხვა მხრივ ხელმწიფე იმპერატორს ცვლილება არა ეტყობა-რა.

17 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 16 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ: მთელის დღის განმავლობაში ხელმწიფე იმპერატორის ჯანმრთელობას ცვლილება არ ეტყობოდა-რა.

**პეტერბურგი.** ბიულტენი 17 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ: წინა ღამეს ხელმწიფე იმპერატორს ნაკლებად ეძინა, მადა აქვს, სიმსივნეს არ ემატება.

## ფელეტონი

**ბ. კიტა აბაშიძეს**

მე იმითი ვიწყებ, ბ. აბაშიძე, ამ ჩემს მოკლე შენიშვნას, რითიც თქვენ ათავებთ თქვენს წერილს ჩემს პასუხად. თქვენ ბრძანებთ, რომ მწერალი, რომელსაც მნიშვნელობა შეუძენია საზოგადოების თვალში, უნდა ახალგაზრდა მწერალს სიფრთხილით მოექცეს, რომ არ დააფრთხოს და სულ ხელი არ აღებინოს კალამზედ. რატომ გგონიათ, ბ. კიტავ, რომ თქვენთვის არის საწყენი და გულის გასატეხი უსამართლოთ მოქცევა—თუ კი იყო ეს უსამართლობა—ძველთა მწერალთაგან და ძველი მწერლისათვის-კი არ არის საწყენი უსამართლობა ახალგაზრდა მწერლისა? ვისთვისა ვწერთ და ვილვწით ჩვენა? განა რომ შთამამავლობისათვის? როდესაც კაცი ილვწის და იბრძვის იმ გარემოებაებთან, სადაც ათასი დაბრკოლება, ათასი სულის შემხუთავი და ზნეობის შემმუსრავი ძალა უხლართავს გზებს, აწამებს, უკრავს ხელფეხს, გონებას,—იქ ერთათ ერთი ნუგეში ამ გარემოებაში ჩავარდნილი მწერლისა ის არის: აგერ მოგესწრებიან უნცროსნი, მოგცემენ მხარს და, ჯერ ერთი გაგიადვილებენ ტვირთს, მეორეც—გიჩვენებენ, რომ შენს შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. და თუ ამ დროს ჰხედავ, რომ, არამც თუ არ წაუკითხავთ მათ, ვისიც დახმარების იმედი გქონდა, შენი ნაღვაწლი და იქნება სისხლის ოფლით დაწერილი შრომა, არც-კი ჩაუხედნიათ შენს საქმეში,—პირ-იქით, აქვთ ამათზედ თავისი მსჯელობა, შემდგარი ცილებიდამ, ჭორებიდამ და მოკეთობის მაგივრად ბრმათ მტრათ გაგხდომიან,—ნუ თუ აქ მართლაცა და არ უნდა გავარდეს კაცს ხელიდამ კალამი?!. გამოველ სამწერლო ასპარეზზედ და რა ვნახე? მინამ გაიგებდნენ ვინ იყო ქერელი ბექა, რომელი ფსევდონიმითაც მე ვსწერდი, გაისმოდა ყველგან ქება და ტაშის კვრა. როდესაც განსვენებულმა ივანე კერესელიძემ გაუფრთხილებლად გასცა ჩემი ფსევდონიმი და გაიგეს, რომ ავტორი იმ წერილებისა იყო რვა მანეთიანი ქაღალდების გადამწერი ბოლოდელნიისა, უცებ ყოველივე დაბნელდა, ამ ნაწერებში მარტო მასხარაობა-ღა იყო. აღარც ნიჭი, აღარც გონება, აღარც ცოდნა აღარ მოიპოვებოდა ჩემში, მინამ რაღაცა ჯადოქრობით არ გადიქცა ფურცელაძე მოენიძეთ. უცებ მოენიძეც გახდა დიდებული მწერალი, ფურცელაძე ისევ უნიჭო, მავნებელი, ქვეყნის დამღუპველი. რა რჩებოდა აქ ჩემთვის ნუგეშად?—იმედი, რომ, თუ აქ პირადობამ, მტრობამ, ჯიბამ, შებღალეს შენი გულწრფელი მუშაობა, ღვაწლი,—მოზარდობა მაინც შეჰხედავს შენს საქმეთა, წრფელი გულით, აწონვილი კალმით, სწორე სასწორით. რა გამოვიდა ამ იმედიდამ?—ისა, რომ ჩემს მტრობას ისე მარჯვეთ უმუშავნია, რომ ეს მოზარდობა არც-კი კითხულობს შენს ღვაწლს, შენს შრომას და შენზედ შეუდგენიათ აზრი პამფლეტებიდამ, ჭორებიდამ, ცილებიდამ... როგორა გგონიათ, ბ. აბაშიძე, თუ თქვენ ორი შენიშვნა ხელიდამ კალამს გაგდებინებთ, თქვენგან, რომლებზედაც იმედი გვქონდა ისინი მაინც სინიდისიერათ მოგვექცევიან, არ მოჰყრყვნიან მკითხველისა და საზოგადოების თვალში ჩვენს აზრს, ჩვენს წმინდა განზრახვას,—ამგვარი ჩვენი მოპყრობა, როგორც მაგალითათ თქვენ მოგვექეცით პირველსა თუ ან ამ მეორე წერილში, კალამი არა და თოხიც არ უნდა გაეგდებინა ჩვენთვის ხელიდამ?... ვთქვათ მე ხმაც არ გაგეცით, მაგრამ, თქვენ როგორც ახალგაზრდა მწერალს, რომელიც უნდა ცდილობდეს პირველადვე თავი სამართლიან მწერლად უჩვენოს ქვეყანას, არ უნდა დაფიქრებულიყავით, რომ ეს პამფლეტებიდამ და ჭორებიდამ რომ ვწერ, რა უნდა იფიქრონ მათ ჩემზედ, ვისაც ნანდვილები წაკითხული აქვთ! თქვენ, როგორც ახალგაზრდა მწერალს, გემართათ ერთის მოფიქრება. ამ მწერალს ჰლანძღავს თითქმის მთელი ჩვენი მწერლობა. ამავე დროს მწერლობის გარეთ ხალხში ჰყვანან მომხრენი, ნაწერები ამისი ვრცელდებიან. მოდი, რაკი მწერლობას ვიწყობ, კრიტიკას ხელსა ვკიდებ, ნიმუშად მაინც წავიკითხავ ერთს ამის თხზულებას, რომ სიტყვამ მოიტანოს, შემეძლოს ხმის ამოღება, გავიგო, რა არის აქ სალანძღავი, სათრეველი, სადევნელი, სავნებელი. სურვილი შეურაცხებისა დიდი გქონდათ და რათ? რისთვის?—ამისი არა იცოდით რა ჭორებსა და ცილებს გარე... და, გარწმუნებთ, დიდათ და დიდათ ვაფასებ მოზარდობის აზრს, ნიჭიერს კალამს, ჯერედ კალამ გაურყვნელის მსჯელობას.

როდესაც ნიკოლოზ დადიანი სწერს ჩემზედ პამფლეტებს, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ტრადიცია ამისი ისეთია, რომ ჩემი კალამი მისი გულის ლახვარია. არცარა სხვა რამ გამოუვა ხელიდამ და პამფლეტებიდამ მაინც გააცნობს ქვეყანას თავსა. მაგრამ ახალგაზრდა, რომელიც სამწერლო ასპარეზზედ გამოსულა, პამფლეტების საწერლად-კი არა, ჭეშმარიტი, დამჯდარი სიტყვისა და აზრის წარმოსათქმელად, დიახ დასაფასებელია ჩემთვის. მაგრამ, ვიმეორებ, განა ან წინა წერილში ან ეხლა თქვენ ნიკოლოზ დადიანზედ უარესად არ მოიქეცით? აი, შეუდგეთ სინჯვას, თუ ეს მეორე წერილიც ჩემს შესახებ იგივე პამფლეტი არ იყვეს.

თქვენ ოქვენი მეორე წერილი დასწერეთ ამ სათაურით: „ნიმუში ჩვენებური პოლემიკისა“. ამას შენიშვნა გაუკეთეთ: „რიგიანი პოლემიკა ჩვენში ერთმა-ორმა იცის მხოლოდ“. გამოდის, რომ ჩემი პოლემიკა იყო ურიგო და მე იმ ერთს ორს რიგიანებში არ ვურევივარ. ეგ რათ? მიტომ, რომ ვამხილეთ ქვეყანას, კიტა ცილსა გვწამებს, ჩვენ არსად გვითქვამს, რომ პოეზია ლობიო შექმა-

18 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 17 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ: გუშინდელის დღის განმავლობაში ხელმწიფე იმპერატორი ცოტასა სჭამდა და სისუსტესა ჰგრძნობდა; ჩვეულებრივი ხველა, რომელიც მის უდიდებულესობას დიდი ხანია აქვს ყანყრატოს და ყელის ანთების გამო, გაუძლიერდა და ნახველში რამდენიმე წვეთი სისხლისა გამოჰყვა.

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 18 ოქტომბერს, სათავად-აზნაურო ბანკში გადახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის განკურნების შესავედრებლად, რომელზედაც დაესწრნენ ბანკში მსახურნი, მსესხებელნი და მრავალნი სხვანი.

*** გუშინ ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა ქალაქის მოურავს, ეხლავე შეუდექით რიყის ნაწილის გასუფთავებას და მილის წყლის გაყვანას, რადგანაც იქ მცხოვრებლები მტკვრის მღვრიე წყალსა სმენ და ამასთან უსუფთაობისა გამო ავრცელებენ რიყეზე ხოლერასაო.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ სოფიო ეფრემოვისა, რომელიც 15 ოქტომბერს საავადმყოფოში წაიყვანეს, როგორც ხოლერით ავადმყოფი, გუშინ, 18 ოქტომბერს, გარდაცვლილა აზიის ხოლერით. იოსებ ხახუტაშვილის ავადმყოფობა-კი ხოლერა არ აღმოჩნდა და საავადმყოფოს სხვა პალატაში გადიყვანეს.

*** ქალაქის გამგეობამ გუშინ გაუგზავნა პოლიციის მერვე ნაწილის ბოქაულს სამუსს ათი ოქმი შედგენილი ქალაქის ინჟინერის მიერ, რომლის ძალითაც ამ განყოფილებაში უნდა პოლიციამ დაანგრიოს ძველი სახლები, რომელსაც დაქცევის შიში აქვთ. სულ 50 ოქმია შედგენილი.

*** რიონიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ გუშინ ქუთაისის რკინის გზის შტო წაახდინა ნიაღვარმა და მატარებლების მისვლა-მოსვლა შეწყვეტილიაო.

*** ყვირილიდგან იუწყებიან დეპეშით 18 ოქტომბრიდგან, რომ ამ სადგურის ახლოს რკინის გზის ლიანდაგზედ მიწის ზვავი ჩამოწვა და მატარებლების მისვლა-მოსვლა შესწყდა. სახალხო მატარებელი ყვირილაშია გაჩერებული.

*** ორშაბათს, 17 ოქტომბერს ტფილისში უცბად გარდაიცვალა ყარსის გუბერნატორის კანცელარიის გამგე ისაი-სულთან შახტახტინსკი, რომელიც გაზეთ „Карсъ“-ის რედაქტორად იყო. განსვენებული 1870 წლიდგან დიდ მოღვაწეობას იღებდა და თანამშრომელად იყო მაშინდელ გაზეთ „Тифлискій Вѣстникъ“-ისა. ამის გარდა განსვენებული კორესპონდენტად იყო გაზეთ „Недѣля“-სი და აგრეთვე სატახტო ქალაქების გაზეთებისა.

*** როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში, შაბათს, საღამოს 7 საათზედ, კიდევ მიუყვანიათ ერთი ხოლერით ავადმყოფი მუშა სოსო სახოშვილი, რომელიც რიყის ქუჩაზედ, ბაბაევის სახლებში სცხოვრობდა.

*** 17 ოქტომბერს, დღის 12 საათზედ, ერევნის მოედანზედ, ქალაქის სახლის წინ, მუხლმოდრეკით საჯაროდ იქმნა გარდახდილი პარაკლისი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის განკურნების სავედრებლად. პარაკლისს დაესწრნენ: კავკასიის მთავარმართებელი შერემეტევი, მისი თანაშემწე ტატიშჩევი, კორპუსის უფროსი თავ. ამილახვარი, ტფილისის გუბერნატორი შარვაშიძე, თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. კ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი, ქალაქის მოურავი იზმაილოვი, ქალაქის საბჭოს ხმოსნები და მრავალი ხალხი.

ამავე დღეს ხელმწიფე იმპერატორის განკურნების სავედრებელად პარაკლისი იქმნა გარდახდილი: ტფილისის სამოსამართლო პალატაში, მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში, წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში, ქ-ნ დრუევიცა-კოვაჩის კერძო სასწავლებელში. და სხვ.

*** დ. ხონი: საქართველოს ყოველმა კუთხემ შეიგნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა და ხონელებს კი არა გვეშველა რა. ამოდენა დაბაში ერთი სამკითხველოც-კი არ არსებობს, რომ კაცს შეძლება ჰქონდეს ჟურნალ-გაზეთებს თვალ-ყური ადევნოს, რამე გონებრივი საზრდო შეიძინოს. სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს-რა, ასეთი გულ-გრილობა, ასეთი დაქვეითება და გათახსირება! ამას წინად მღვდელს მ. ნესტორ ლეჟავას განუზრახავს სამკითხველოს დაარსება, ამ საქმისათვის ხელის მოწერაც გაუმართავს და თითო-ოროლა გროშიც მოუგროვებია, მაგრამ ჯერ ჯერობით სამკითხველო არ დაარსებულა. ალბად ამ კეთილს საქმეში ხელი შეუშალა ვინმემ მამა ნესტორს. დრო არის ბოლო მოეღოს ამ ჩვენს დაქვეითებას.

*** 16 ოქტომბერს ელისაბედის ქუჩაზედ მცხოვრებელმა მარიამ დოლინმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ იარმუკაში ჯიბიდგან ქისა ამომაცალეს, რომელშიაც ოქროს ჯვარი, ცოტაოდენი ფული და საჭირო ბარათები მქონდაო.

*** ამავე დღეს ფალავანდიშვილის ქუჩაზე ალექსი თარხანოვი არშაკ გოზალოვს წაეჩხუბა და მსუბუქად დასჭრა. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** 17 ოქტომბერს ბაქოს ქუჩაზედ რკინის გზის უფროსის თანაშემწის ბარონ კორფის სადგურის ფანჯარას შუშა ამოაცალეს და გაიტანეს 200 მან. ნივთეულობა.

## კორესპონდენცია

**ს. ნორიო.** კაცი ვერ წარმოიდგენს ნორიელ გლეხების გაჭირვებულს მდგომარეობასა... ნორიო, რომელშიაც ხუთას კომლამდის გლეხი სცხოვრობს, დღეს სრულებით უტყეოდ არის დატოვებული. მერე რა არის გლეხისთვის ხე-ტყე, ეს ვგონებ, ყველას, ჰქონდეს წარმოდგენილი! გაზაფხულიდგან დაწყებული ვიდრე ზამთრის უკანასკნელ დღემდის გლეხს მუდამ ხის იარაღი უნდა ეჭიროს ხელში: ვენახი, ღობე, მინდვრად ათას გვარ საჭიროებისათვის სახმარი მასალა, სახლი, საზამთრო შეშა, თუ საყოველდღეოდ სახლში სახმარებელი ფიჩხი და სხ. ყველა ეს გლეხის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ნორიელებს-კი, როგორც სხვა ბევრს ამისთანა სოფლის მცხოვრებლებს არავითარი საშუალება არა აქვს, ყველა ეს ხელთა ჰქონდეთ და, მით აწარმოონ თავიანთი საქმეები, არ გაუმწარდეთ უამისოდაც შხამით შეზავებული უგემური ცხოვრება...

საშუალება მეთქი, განა, მართლა ნორიოს ახლო-მახლო ტყეები არსად არის?—იკითხავს მკითხველი მეტადრე-კი ისინი, ვისაც უვლია მრტყოფისაკენ, და ნორიო ხომ ზედაა გადაბმული. მარტყოფისა და ნორიოს თავში კარგად მოზრდილი მთებია ჩარიგებული და გზად მიმავალს თითქმის სასიამოვნოდ დარჩება ხოლმე, როდესაც მინდვრის სანახაობით მოწყენილს თვალს უცბად ამ მთებს მიაპყრობს. მთები მთლიანად დაბურულია, არ ვიტყვი, ძალიან დიდის ტანის ხეებით, მაგრამ ის-კი რომ არა ვსთქვა,—შუა და მოზრდილის ტანის ხეები-მეთქი, ეს ცოდვად ჩამეთვლება. ეს პირველს შეხედვაზედ. გადაბრძანდით პატარა იქით და აგერ თქვენს თვალს წინ გადიშლება ის სანაქებო დიდი ხეებიც, რომლის ნახვითაც რაღაცა საიდუმლო ჟრუანტელი გვლით ტანში... დიაღ, მართალს იფიქრებს მკითხველი, რომ ნორიოს ახლო ტყე აქვს და კარგიც. მაგრამ... „ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და მაწონი ძ—ს.ო“, ამბობს ქართული ანდაზა; ნორიელები-კი, შეწუხებულნი უშეშობით, შეჰხედავენ თუ არა ამ უსარგებლო ტყეს, გულდაწყვეტილნი და მწუხარედ იმეორებენ იმავ ანდაზას. ეს ტყე სახელმწიფოა, რომელიც ნებას არ აძლევს ფასით მაინც არის გამოიტანონ საბრალო გლეხებმა ის საყოველდღეო საჭიროების მასალა, ურომლისოდაც მათი არსებობა ყოვლად შეუძლებელია.

რასაკვირველია, კარგი, რომ სახელმწიფო ჰზრუნავს ტყეების მომავლისათვის, მაგრამ დღეს ტყე საკმაოდ გაზრდილია, და შეიძლება ცოტა დაუთმოს ხოლმე გლეხებს სახმარებლად, იმისთანა საჭიროებისათვის მაინც, რომლის დაუკმაყოფილებაც გლეხებს დიდს გაჭირვებაში ჩააგდებს. ეს საჭიროება ვენახებისთვის ჰიგოს უქონლობაა. რომელსაც ვენახში გინდათ შებძანდით და მხოლოდ მაშინ დარწმუნდებით, რამდენად არიან გაჭირვებულნი გლეხები: ნახევარი ვაზებისა პირდაპირ მიწაზეა დაპირქვავებული და ხშირად რამდენსამე წელიწადსაა ასე. რასაკვირველია, ამით ვენახებს არა უხარიანთ-რა და გლეხებსაც გული უტყდებათ, რომ ჰხედავენ თავიანთს მამულს ასეთს მდგომარეობაში; ნელნელა ისინიც უკლებენ შემუშავებასა და ბოლოს რა მოელის ამ ვენახებს, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ესვე არ-არის სრულებით ამოვარდება, გაჟერაგდება.

ვერ წარმოიდგენთ, რა მწუხარე კილოთი შემოგჩივის გლეხი ამ თავისს უბედურებას! ნამდვილად ეტყობა ტანჯულს სახეზედ გულს შემონაწოლი მწარე ნაღველი. „ყმაწვილო პური რომ გვქონდეს გამოსაცხობი, მიცვალებულზე, ან სხვა რომ სამხიარულო დღეებში, შეშა ფიჩხი ვერ გვიშოვია სამყოფი. უნდა წავიდეთ, და თუ სადმე ვნახავთ პატარა ბუჩქებს, ძირიანად დავთხაროთ და იმითი გამოვაცხოთ პური! ეს არაფერი, მაგრამ სავერაგო ჯაგებიც რომ აღარ არის. და არც შეძლება გვაქვს, ყველამ გომბრიდან, ვზიდოთ ხე-ტყე. იანგარიშეთ, სამის დღის მოცდენა კაცისა, ხარისა და იმასთან ფული, რა მამასისხლად გვაძლევენ შეშას მებატონეები!!!.

ასე მწარედ შემოგჩივიან, და გავსებენ საცოდაობითა. კარგი იქმნებოდა, ყურადღება მიექცია მთავრობას

---

დი არისო? რომ გვეთქვა, კიტა მართალსა ბრძანებს, დაუჯერეთ, მაშინ ხომ კარგი პოლემიზატორი ვიქნებოდი! თქვენვე აღიარებთ, რომ ის აზრი წამოგცდათ პამფლეტიდამ. განა ამგვარი ქცევა მწერლობაში პამფლეტი არა და უარესიც არ არის? ახლა ვიკითხოთ, რაკი ნიმუშებიც იცოდით ჩვენში ერთი-ორი რიგიანი პოლემიზატორისა, რატომ იმათ არ მიჰბაძეთ? მაგრამ, აქედამ აი რა დასკვნა გამოდის. რაკი, უეჭველია, თქვენ იმას მიჰბაძავდით, რაც კარგად გეჩვენებოდათ, ცხადია კარგი პოლემიკა პამფლეტები გგონებიათ და მიგიბაძვნიათ იმათთვის. ეს მით უფრო მტკიცდება, რომ, თქვენა ბრძანებთ, რა არის აქ ცუდი, თუნდა პამფლეტებიდამ შეგვედგინა თქვენზედ აზრიო. ნუთუ ახალგაზრდა კრიტიკოსს ეთქმის პამფლეტებიდგან წერა არაფერი ცუდი და არავისთვის საწყენი არ არისო? აკაკი წერეთელს რომ ჰკითხო, თვით პამფლეტებისა და პასკვილების წერაც არაფერია, კარგი საქციელი და სასიქადულოც არის. მაგრამ თქვენ, როგორც თქვენს წერილს პოლ ბურჟეზედ ვატყობ, მასხარაობა არ გიდევთ გუნებაში, გსურთ დაიმსახუროთ დინჯი და აწონვილი აზრების მწერლის სახელი.

ჩემს შენიშვნას თქვენს შესახებ უწოდებთ „ბრალდებელს ოქმს“ და ამ სიტყვებს ფრჩხილებში ჰსვამთ. მე მიწოდებთ ბრალმდებელს. ეგ რის ნიშანია?—აღარავინ გაჰბედოს ჩვენზედ ხმის ამოღება, თორემ აი რა სიტყვებ ვიცითო. კარგი და პატიოსანი. ვინ ვის დასდო პირველად ბრალი და პირველი ვინ შეადგინა ბრალდების ოქმი? მე თუ თქვენ?—განა რომ თქვენ! მაშ რატომ მე ვარ პროფესორი და არა თქვენ?.. განა ეს პამფლეტი არ არის? როდესაც ჩვენ ტალახში გვსვრით, კრინტს ნუ გასძრავ თორემ პროკურორს დაგიძახებთო. რატომ პატივცემულმა დიმიტრი ერისთავმა არ გიწოდათ თქვენ პროკურორი, როდესაც დასწამეთ იმას პლაგიატი?.. მაგრამ, აქაც კიდევ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ სწორეთ მიგიბაძავთ ურიგო პოლემისტებისათვის და წარმოგიდგენიათ კარგები ესენი არიანო... ეს კარგი პოლემიზატორის მიბაძვაა? „თითქო ვგრძნობდით, რომ ბ. ანტონ ფურცელაძეს სარწმუნოების ხსენება არ ეჭაშნიკებოდა“? განა თქვენი მომატებაც უნდოდათ ამ მხრივ ჩვენთა მეთვალ-ყურეთა? გყვანან აქაც, ბატონო, ჩვენს სულსა და სინიდისში ხელების მოფათურენი და თავის ადგილას მაუწყებელნი: იკითხეთ „ჯეჯილის“ ამბავი, ამბავი გოგებაშკილის სახელმძღვანელოების, და სხვა ამგვარები. ჰკითხეთ ამაზედ პატივცემულთ: ანასტასია თუმანიშვილისას, გოგებაშვილს, სანდალას და სხვ. იკითხეთ, სად გაჰქრნენ ერთი სასწავლებლის ბიბლიოთეკიდამ ჩვენთა მწერალთა საუკეთესო ნაწერები. გარწმუნებთ მომატება აღარ გვიჭირს... აბა ამ გვარს კილოს, რომელი პამფლეტი, რომელი «ბრალმდების ოქმი» უდრის?

გამოგყევართ ცილის მწამებლით. პირველი მითი, რომ მე ტყუილათ დაგწამეთ პისარევის ურიგოთ მოხსენება, მეორე—თქვენი მისტიკური შეხედულობა; მესამე, ჩემი ურიგოდ ხსენება; მეოთხე, ვითომ ვამტკიცებდე, რომ გინდოდეთ ტორკვემადისა და ლოიოლების აღდგენა.

გავსინჯოთ ვინ არის აქაც ცილის მწამებელი. დავიწყოთ პისარევიდამ.

თქვენა ბრძანებთ „მოამბის მორალისტებში:

„არც ქართული ლიტერატურა ასცილებია ამგვარს კამათობას (ხელოვნებისათვის ხელოვნებაზედ) (*) ორს სხვა-და-სხვა წარმომადგენელთა შორის, თუმცა უფრო მასხარაობას წაავავდა იგი...

„ცისკრის“ ნომერში ჰნახავთ თქვენ ვიღაცა ქართველი „პისარევის“ კრიტიკას, რომელიც ბარათაშვილის მთა წმინდაზედ შემოღამებას, ჩირადაც არ აფასებს, კვერს არ მიიღობსო...

აქედამ ქება გამოდის პისარევისა? „პისარევი“ ხომ თქვენვე ჩასვით ბრჩხილებში, ქართველი პისარევი სწერს მასხარაობას, პოეზია ლობიო შეჭამადი ჰგონია. მაშასადამე, «პისარევი» ისახება მასხარაობასა და პოეზიასა და კუჭის გაძღომის გაურჩევლობაში. თქვენს ენაზედ იქნება ეს ქება დიდებაც იყვეს, და ჩვენში ამას ჰქვიან მასხარად აგდება, ტალახის სროლა... განა ეს პამფლეტი არ არის?... განა ჩვენ აქ ცილი დაგწამეთ?!..

გადავიდეთ ახლა თქვენს მისტიციზმზედ.

დაუგდოთ თქვენს ლაპარაკს ყური. თქვენა ბრძანებთ თქვენს წერილში პოლ ბურჟეზედ, რომელიც დაიბეჭდა „მოამბის„ მე VIII და IX №№-ში.

„...ლიტერატურა თავის უწინდელს გულგრილობასა სტოვებს და სცდილობს გაატაროს მაღალ-ზნეობრივი აზრები...

„საფრანგეთის ლიტერატურა არის ყველაზედ ყურადღების ღირსი იმიტომ, რომ ამ უკანასკნელი ათი წლის საზოგადო ლიტერატურაში მას უკავია პირველი ადგილი და მისი საუკეთესო წარმომადგენლნი (პოლ ბურჟე და სხვ.) მთელი ევროპის ყურადღებას იპყრობენ.“

რითი? ამაზედ თქვენ იძლევით შემდეგს პასუხს: „ეხლანდელს საფრანგეთის ლიტერატურაში იხატება ახალი მიმართულება, რომელიც წინ უდგება ძველს პოზიტიურსა და მატერიალისტურს მიმართულებას...

„თუ მიაქცევთ ყურადღებას ეხლანდელს მწერალთა ნაწარმოებს, თქვენ დაინახავთ ორს მკაფიოთ გამოხატულს მიმართულებას: ერთია განსაკუთრებით ფილოსოფიური, რო-

(*) უნდა, ბატონო აბაშიძე, შევნიშნოთ, რომ აქაც კი სცდებით. ამ კითხვაზედ მაშინ არავის არავითარი პოლემიკა არა ჰქონია და არ ვიცი ეს სადღა ამოიკითხეთ. განა შეიძლება ასრე თავის თავათ რისამეს შეთხზვა? ამას ხომ ვერც პამფლეტში ამოიკითხავდით. კარგი იქნება გვიჩვენოთ, ვინ იცავდა მაშინ ხელოვნებას ხელოვნებისათვის, რომ შევძლოთ თქვენი სიტყვების შემოწმება.

ამ გაჭირვებულს გლეხთა მდგომარეობისათვის და შეღავათი რამ მიეცა. ერთხელ კიდეც უთხოვნია მთელს სოფელს მთავრობისათვის, მაგრამ დღესაც არაფერი ამბავია! იმედია თუ ეშველებათ რამე, მეტს აღარ აცდევინებენ: გაჭირვება და ცდა ერთმანერთს დიდხან ვერ იშვნევენ. გაჭირვება ძლიერია!!..

## ქ-ნ ბარბარე სულხანიშვილისას

მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო.
ხალ. ანდაზა

ამ შვიდი-რვა წლის წინად „ივერიის“ მაშინდელი მეფელეტონე ბ-ნი ხონელი ახირებულად ჩააცივდა ქართველ ქალებს. ყოველს თავისს საკვირაო ფელეტონში უექველად გაჰკრავდა ხოლმე იმათ კბილებს.

ერთხელ იმისი ფელეტონი ამ სიტყვებით იწყებოდა ქალების შესახებ: „გულ-საკლავ და ზარ-დამცემ ზნეთა დაცემის სურათს დაჰხატავს შთამომავლობის საყურადღებოდ მემატიანეო. რა არის უმრავლესობა ჩვენის ესრედ წოდებულის განათლებულის ქალებისაო, რა გვარია იმათი იდეალი, იმათი მიმართულება, იმათი საგანი და დანიშნულებაო“.

მე ეს სიტყვები და მთლად იმის წერილის კილო უსამართლოდ ვცან და როგორც თქვენ დღეს ჩიოდრას, მეც ბ-ნ ხონელს გულ მტკივნეული პასუხი მივეცი.[1]) „მართლა და რა არის უმრავლესობა ჩვენის განათლებულის კაცებისაო? ამავე კითხვით რომ მოგმართოთ ჩვენ ქალებმა, თქვენ, კაცებს, ნეტა რას გვიპასუხებდით? რა გააკეთეთ, რომ ჩვენ უკან ჩამოგრჩით? რითი ისახელეთ თავი, რომ ჩვენ გვერდში არ ამოგიდექით? ჩვენი მამანი, როდესაც გმირობდნენ, ჩვენი დედანიც „მარად ნეტარნიც,“ ნამდვილი მათი მეკვლენი იყვნენ. მაშინ, როდესაც კაცი იბრძოდა თავისის სამშობლოს დასაცველად, დედაკაცი ხელს უწყობდა, ახალისებდა, იარაღს უფერავდა, ნუზლს უმზადებდა; ქმარს, ძმას, შვილს ბრძოლის ველზედ ისტუმრებდა და უვაჟკაცოოჯახს მმართავდა, აწყობდა და აყვავებდა, ქართველ სიტყვიერებას, წერა-კითხვას ჰპატრონობდა.

„დღეს რას აკეთებთ თქვენ? —ჩინოვნიკობთ? და განა დედაკაცები-კი გაფაციცებულნი ალაგებს არ ეძებენ კანცელერიებში? განა დღითი-დღე არა ჰმატულობს ქალების რიცხვი საზოგადო ასპარეზზედ გამოსასვლელად? ცოტა ქალებია მასწავლებლებად სასოფლო და სამოქალაქო სკოლებში, მუსიკის მასწავლებლად, გუვერნანტებად, მკერვალებად მაღაზიებში, ტელეგრაფის მოხელეებად? ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ დედაკაცისთვის ჩვენში საასპარეზო მოედანი ჯერ ძრიელ ვიწროდ არის შემოფარგლული.

„რაც შეეხება საოჯახო საქმეებს, არც აქ ჩამოვრჩით ქალები კაცებს. ჩვენმა თუ მთლად ახალ თაობის კაცებმა არა, მომეტებულმა უმრავლესობამ მაინც, სოფელი უარ-ჰყო და ქალაქს მოაწყდა; თავისს განათლებული გონება სოფლის ვიწრო, იმათის აზრით, უფერულ ცხოვრებას არ ანაცვალეს და აქ ქალაქში ბულვარზედ უსაქმურად ხეტიალი არჩიეს, და დამარტოვებულ ქალებს რა ექმნათ, რომ თან არ გამოჰყოლოდნენ?

„მაჩვენეთ ერთი მაგალითი ისტორიაში, რომ ქალები კაცებს ჩამორჩენოდნენ ზნეობრივ, არ აღფრთოვანებულიყვნენ კაცის ძლიერებით და არ დაცემულიყვნენ მათის ზნეობრივის სიძაბუნით. სოფიო განა სოლომონის მეუღლე არ იყო, („ქართლის ბედი“, ბარათაშვილისა), ხერხეულიძის ცოლი თავისის შვილის გმირის დედა? ქეთევან წამებული ქართლის მეფე და თამარ აყვავებულის საქართველოს საუკეთესო გვირგვინოსანი?

„მაშასადამე, დღეს თუ ჩვენ, ქალთა შორის, ბევრს სიკეთეს ვერა ჰხედავთ, ამის მიზეზი თქვენი ვერაგობაა. რა იდეალი გაქვთ თქვენ, რომ ჩვენ არ თანავუგრძნობთ? რომელ რაზმს გაუძღვეთ, ან რომელს მივდიოთ? წადით თქვენ და თუ ვერ გამოგყვეთ მაშინ გვიკიჟინეთ. და თუ თქვენ თითონ ტორტმანებთ, მაშა სადმე ორთავეს ერთად, თქვენცა და ჩვენც, ჯერ ჩანჩალი, უფერულება, ძალმოჩეულება გვხვედრია წილად და ერთმანერთს ნურას უსაყვედურებთ, მტრობას ნუ გაუწევთ.

„იყო დრო და ძრიელ დიდი ხანიც არ არის მას აქეთ, რომ ყმაწვილი კაცი, ყმაწვილ ქალს გაიცნობდა თუ არა, პირველ საჩუქრად უძღვნიდა კარგს წიგნს, პირველივე იმისი სიტყვა ქალის პატივისცემის გამომხატველი იყო. ამით კაცი ყოველთვის სცდილობდა დედა-კაცისთვის შეეგნებინებინა იმ წმინდა იდეალის თაყვანის ცემა, რომელსაც თითონ ლოცულობდა, თითონ გეეცნო ჭეშმარიტის სწავლის წყაროებიდან და რომელსაც დედაკაცი თავისის საზოგადოებრივის მდგომარების გამო მოკლებული იყო.[2])

„მაშინ დედაკაცს კაცი თავისს მომხრედ, თავისს ამხანაგად, თავისს ზნეობრივ აღმამაღლებელ ქმნილებად მიაჩნდა და თითონაც სცდილობდა იმის თვალში ამაღლებულიყო, ზნეობის და წარმატების გზას შესდგომოდა. ქალი, მაშინ თუ არ სიყვარულით, ქმარს არ გაჰყვებოდა და თუ კაცი უყვარდა, არ დასდევდა იმას, თუ რა შეძლება ექნებოდა იმის მომავალს მეუღლეს.

„დღეს თქვენ სძრახავთ დედა-კაცს, რომ იმის თვალები მხოლოდ შეძლებულ საქმროს დასაჭერად უჭყეტია. ეგ მართლაც საძრახისია და ზნეობით დაცემის ნიშანია, მაგრამ ის მხოლოდ თქვენგან იღებს მაგალითს, თქვენგან, რომელნიც დედაკაცის ღირსებას მხოლოდ იმას მზითვის რაოდენობით ჰზომავთ.

„რასაკვირველია, თქვენი უვარგისობა დედა-კაცს ნებას არ აძლევს თავი იმართლოს. რასაკვირველია, ჩვენთვის ჩვენის მომავლისათვის საჭიროა, რომ დედაკაცმა გაიღვიძოს, თავისს დანიშნულებას ყური მიაპყროს, ზნეობის ბაირაღი აღმართოს, მაგრამ ამისთვის ბევრი და ბევრია საჭირო. განა არ მოგეხსენებად, რა ძალა აქვს აღზრდას, მაგალითს, ტრადიციას და განსაკუთრებით სკოლას, რომელიც დღეს ქართველ ქალებს დედინაცვლად გადაჰქცევია და გადაგვარებას უქადის“.

ერთი სიტყვით, ქ-ნო ბარბარე, ჩემი და თქვენი საყვედური კაცების მიმართ თითქმის ერთი და იგივე ყოფილა, თუმცა მე და თქვენს ხნიერებაში დიდი მანძილია და ჩემი წერილი შვიდი-რვა წლით ადრეა დაწერილია. მაინც ერთსა და იგივე გულისტკივილს შეუწუხებივართ, ერთ გვარად ესამართლოდ მიგვილია მამაკაცების საყვედური ჩვენის უვარგისობის შესახებ და ბრალი თითქო იმათზედ მიგვიყრია.

განსხვავება ჩვენ შორის მხოლოდ ის არის, რომ რაც მე მიმაჩნდა შეუძლებლად ქალების მხრივ მაშინ, კაცების დაუხმარებლივ, ეხლა ის ისე აღარ არის. ეხლა ყოველ ყმაწვილს ქალს, თუ სრულიად ენერგიას მოკლებული არ არის, შეუძლიან თავისუფლად იმოქმედოს, უმაღლესს სწავლამდის მიაღწიოს, და სწავლით აღჭურვილი ადამიანი-კი ვილას და შეეპუება ეხლანდელს დროში. უმაღლესის სწავლით ფრთებ-შესხმული ქალი რაღად მოიხრის თავს მამა-კაცის წინ: ინებე და (უწლოვანი შენის ქეიფის ნებაზედ) მონად ამიყვანეო.

ეხლა ქალებს მომატებული უფლება გაქვთ, მომატებული ღონე კაცებს არ გეექელვინოთ (სწავლა ყველას ათანასწორებს), და საჭიროება მოითხოვს ქართველებისათვის, რომ წინაც გაუსწროთ. გნა ქალები საუკეთესო მქადაგებელნი არ ყოფილან ყოველს კეთილის მოძღვრებისა ჩვენში? განა მრავალი მაგალითი არ არის ჩვენს ისტორიაში, რომ დედა-კაცს აღედგინოს ის, რაც დროთა ვითარებას დაექციოს? განა ქართული ანდაზა არ ამბობს: „დედა-კაცის აგებული ღმერთმაც ვერ დააქციაო“.

მაშ კაცების კიანი მოყვრის რჩევად მიიღეთ, ახალ გაზდა ქალებო, და აასრულედ ის ყველა ქართველის სურვილი, რომელიც ჩიორამ გისაყვედურად, ქართველები იყავით გულით დ ნუ გადაშენდებით იმ მიზეზთა ზედ გავლენის მოწყალებით, რომელიც ჩვენ მოსწავლე ქალებს, მართლა-და ამახინჯებს. ნუ ვინუგეშებთ თავს იმითი, რომ კაცებიც გადაგვარებულნი არიან.

დეე ჩვენ იმათ გვისაყვედურონ, ჩვენ იმათ ვუსაყვედუროთ და ერთმანეთის ქიშპით საერთო საქმე, საერთო იდეალი, საერთო სურვილი თვით არსებისა უკეთ მოვაწყოთ, უკეთ ვაწარმოვოთ.

ეკ. გაბაშვილისა

---

[1]) ეს ჩემი წერილი დაბეჭდილი არ იყო.

[2]) სამოციან წლებზე ვამბობ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სასამართლოს მიერ განხილვა ოდესაში მომხდარ გემის „ვლადიმირის“ დაღუპვის საქმისა, მარტო იმით კი არ იზიდავს ყურადღებას, რომ ამ გემის დაღუპვის სხვა-და-სხვა გარმოება ირკვევა, არამედ იმითაც, რომ აქ აღინიშნა ის უწესოება, რომელიც კერძოდ რუსეთის ნავოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების გემებზედ ყოფილა და, საზოგადოდ, რუსეთის სავაჭრო ხომალდებზედ არის. გემის დაღუპვა ჩვენში—როგორც სხვაგან—ძალიან ხშირია, მაგრამ ყველა ეს უბედურება უმნიშვნელოდ ჩაივლიდა ხოლმე და ფიქრადაც არავის მოსდიოდა, ისეთი რამ საშუალება ეხმარათ, რომ კვლავ არ გამეორებულიყო ხოლმე ასეთი უბედურება. თვით რუსეთის კანონმდებლობაში არ არის მოხსენებული და განმარტებული ის წესები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ გემების დატვირთვისა და, გემზედ მოსამსახურეთა გამწესების საქმეში და ცეცხლის გაჩენისა და სხვა უბედურების დროს.

ეს ნაკლი კანონმდებლობისა, ამბობს გაზ. „Русское Судоходство“, დიდი ხანია შენიშნა ნავოსნობისა და ვაჭრობის ხელის შემწყობმა სამეცნიერო საზოგადოებამ. ხოლო 1891 წ. სახელმწიფო საბჭომ წინადადება მისცა ფინანსთა მინისტრს დაუყონებლივ შესდგომოდა იმ წესდებათა

---

მელიც თანამედროვე მეცნიერული თეორიებით ხელმძღვანელობს, ეთანხმება მათ... ხოლო მეორე მიმართულება მორალურის და ფილოსოფიურის კითხვების გადაწყვეტას ელის სარწმუნოებისაგან და ამყარებს მათ სარწმუნოებრივს დოგმებზედ. ამათ ეკუთვნის... რომანისტი პოლ ბურჟე“. („მოამბე“ № VIII, გვ. 2-3).

აბა ჯერ მარტო ამას დაუფიქრდით: გამოდის თუ არა აქ თქვენი თანაგრძნობა ბურჟეს მიმართულებისა. რა აზრი უნდა გამოეტანა მკითხველს ჯერ მარტო ამ გამოწერილი ადგილებიდამ. „ყველაზედ უკეთესი ლიტერატურა, რომელზედაც მთელი ქვეყნის ყურადღება მიქცეული არის, საფრანგეთის ლიტერატურაა, რომელიც სცდილობს გაატაროს მაღალ ზნეობრივი აზრები. ყველაზედ უკეთესი ამ ლიტერატურაში არის პოლ ბურჟე, და ბურჟე „ფილოსოფიური და მორალური კითხვების გადაწყვეტას ელის სარწმუნობისაგან და ამყარებს სარწმუნოებრივს დოგმებს.“ განა ცილი დამწამეთ, როდესაც ვაღიარეთ თქვენი მისტიკური სიმპატია?

მაგრამ ზოგჯერ ლოღიკასაც სადაოთ ხდიან ხოლმე. გადავიდეთ თქვენს პირდაპირს ქადაგებაზედ. მოამბის მე-VIII №-ს მე-21 გვერდზედ ბრძანებთ ერთს ბურჟესაგან გამოყვანილს პირზედ.

„ხმლით უარსა ჰყოფს ყოველივესა, რაც-კი ცოტა არ იყოს გვიმსუბუქებს საშინელს ბოლოს ჩვენი ცხოვრებისას. უარს ჰყოფს სარწმუნოებას და სარწმუნოება გვიხატავს მომავალს ცხოვრებას, სადაც დამყარებული იქნება მსოფლიო მშვიდობა და მყუდროება.“ ეს ცილია ჩვენი? ჩვენი შეთხზულია? მაშ რათ გონებიათ ჩვენი პროკურორისა და ცილის მწამებლების ეპიტეტების მოძღვნა?.. ამასთან, კაცი, რომელიც სხვას წასძახებს მისტიკი არა ხარო, თვითონ მისტიკი არ უნდა იყვეს?! თქვენ, როგორც ზევით ითქვა, მიძრახეთ ურწმუნოება. მაშ თქვენ რა უნდა იყვნეთ? აქაც გადაფიცვა შეიძლება და თქმა რომ ცილსა მწამებენო?!.

რაც შეეხება მას, რომ ჩემი საწყენი არა გითქვამთ-რა. აი თქვენი სიტყვები: ჩემს წერილებზედ ბრძანებთ „მასხარაობას წააგავდაო. „ცისკრის ნომერში ჰნახავთ თქვენ ვიღაცა ქართველი „პისარევის“ კრიტიკას, რომელიც მთაწმინდაზედ შემოლამებას ჩირადაც არ აფასებს, კუჯს არ მიძლობსო“. განა ეს ქებაა და არა საწყენი?.. თვით ისიც განა საწყენი არ არის, რომ თქვენ თითონვე უარს ვერ ამბობთ, ჩემი ნაწერები არ წაგიკითხავთ, და ჰკიცხავთ იმათ ჭორებიდამ?!. მაშ სად არის აქ ცილი? ან ვისი ცილია აქა: ჩემი თუ თქვენი?!.

ბრძანებთ, ვითომ მე გწამებდეთ, რომ თქვენ ლოიოლებისა და ტორკვემადების აღდგენა გინდოდეთ. აქაც ვნახოთ პამფლეტია და ცილი ეს თქვენი სიტყვები, თუ მე მართლა გწამებთ ამ ცილს. აი რას ვამბობ მე:

„... როდესაც გაარჩევდა ბურჟეს რომანების გმირებს, კი არ დასდებდა მათს ცოდვაებს ბრალად მათს ურწმუნოებას და დავიწყებასა ღვთისასა...

„როგორც გვიამბოშს კ. აბაშიძე, ბურჟეს გმირები გაჰყრყვნა მეცნიერებამ...

„თუ ხშირად მოხდება, რომ ზოგიერთა მეცნიერთა, მეცნიერებიდამ სავნო აზრი გამოჰყავთ, ნუ თუ გგონიათ რომ ეს მეცნიერების ბრალია, ან მეცნიერება გვასწავლის ამასა?... ნუთუ ეს ემართებათ მეცნიერთა და მორალისტთ-კი არა?...

„ვინ იყო ტორკვემადა, ვინ იყო ლოიოლა და სხ. და სხვა?“

განა აქ მე ვამბობ: აბაშიძეს უნდა ლოიოლა და ტორკვემადა აღადგინოს მეთქი? თუ ვამბობ იმასა, რომ: თუ არიან გამყრყვნელნი და ბოროტათ მეცნიერების მომხმარებელნი, არიან ბოროტათ მომხმარებელნი სარწმუნოებისაცა მეთქი და გიჩვენეთ ამისი მაგალითი, სხვათა შორის ტორკვემადასა და ლოიოლაში? მე ვაღიარებ, რომ არიან ბოროტათ მომხმარებელნი მეცნიერებისა და არიან ამგვარადვე მომხმარებელნი სარწმუნოებისა. აქედამ რომ ის გამოდიოდეს—აბაშიძეს ტორკვემადასი და ინკვიზიციების აღდგენა უნდა მეთქი, რაკი იცავს მისტიკას, მაშინ ისიც უნდა გამოდიოდეს, რომ მე მინდა ბურჟეს გამოყვანილთა სამარცხვინო პირთა აღდგენა, რაკი ვიცავ მეცნიერებას... აი ბ. აბაშიძე, რა ძნელია, რაკი ერთი კაცი შეეჩვევა სხვის სიტყვებიდამ და არა თავის თავიდამ ლაპარაკს... თუ თქვენ დაგწამეთ ცილი, ჩემს თავსაც ცილი დავწამე?!.

ვიმეორებ ბ. აბაშიძე, რომ დიდი სიფრთხილე გმართებთ ყველა აზრის წარმოთქმაში. ნუ მიჰბაძავთ ცუდს პოლემიზატორებს. დრო არის ახალი მოღვაწენი შეუდგეთ სწორე სასწორით ხელში ყველა მოღვაწეთა და მათი მოღვაწეობის დაფასებას. განდევნეთ ღვარძლი, მიეცით ფართო ადგილი კეთილს აზრს, კეთილს საქმეს; ამოიფხარით გულიდამ ჭორებით შთანერგილი სიძულვილი და ილაპარაკეთ ნამდვილი წყაროებიდამ, იმ აზრებიდამ, რაც უნდა ეთქვათ ავტორებს და არა გადაკიბულებიდამ. კალმის გაგდება ხელიდამ არის სიმხდალე, არის უბრალო თავმოყვარეობა. გალილეის, პაპმა, სიკვდილის ქადილმა და წამებამ ვერ გააგდებინა კალამი ხელიდამ, და ჩვენც გვმართებს დიდი კაცებისა და საქმეების ბაძი და არა სულისა და ხორცის მოჩოლფორტება თვითო უბრალო საქმეზედ. გარწმუნებთ თუ გტკივათ მართლა ქვეყნისთვის გული და არა მარტო თავის საჩენათ გამოდიხართ საზოგადო ასპარეზზედ, არავის, არავის ქვეყნად არ უჭირს საზოგადო მოღვაწენი ისრე, როგორც ჩვენს ქვეყანას. და აქ, თუ თქვენი საქმენი იქნებიან გულწრფელნი, ქვეყნის სახმარნი, თქვენი უმორჩილესი მონა პირველი შეეფარება თქვენს დროშას და პირველი მოგიხრით ქედს.

ანტონ ფურცელაძე

პროექტის შედგენას, რომელიც გამოსადეგი უნდა ყოფილიყო კერძო გემ-ხომალდების პატრონებთა სახელმძღვანელოდ.

„ვლადიმირის“ დაღუპვის გამო, მ. ი. კაზის მოხსენებით, ფინანსთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, დაინიშნოს კერძო კომისია, რომელმაც ადგილობრივ უნდა გამოიკვლიოს „ვლადიმირის“ დაღუპვის მიზეზები. ამ გამოკვლევის შემდეგ შემოღებული იქმნება დროებითი წესები მგზავრთა უზრუნველ ყოფისათვის. ურჩევს რა მთავრობას ბ-ნის კაზის, ამ გამოცდილის და ზღვის საქმისა კარგად მცოდნე კაცისა, ხსენებულ კომისიის წევრად დანიშვნას, „Русс. Судох“. რუსეთის სავაჭრო გემების შესახებ ამბობს, რომ

მომავალში უთუოდ უნდა შეიცვალოს დედა-აზრი „თავისუფალი ვაჭრობისა, თავისუფალი აღებ-მიცემობისაო“, რომელიც ყოველთვის უსარგებლო იყოო. უარი უნდა ითქვას იმ გვარს მოქმედებისაგან, რომლის წყალობითაც რუსეთის მრეწველობის თავისებური ჩვეულებანი გავრცელდა. მაგალითად, გემებს, თუნდაც იგი ხალხის სატარებლად იყოს, თავისუფლად ჩააბარებენ ხოლმე ყველა ვიგინდარას, რომელსაც არც ცოდნა აქვს და არც ნიჭი, რომ რიგიანად გაუძღვეს საქმეს, ამიტომ დიდი ყურისგდება და იმათი სწავლებაა საჭირო; საჭიროა, რომ ამათმა მოქმედებამ კეთილი ნაყოფი გიმოიღოს, რათა არა თუ გაწეს-რიგიანდეს ზღვის შემწეობით ჩვენის საქონლის გაზიდვის საქმე, არამედ, რაც შეიძლება, გაძლიერდეს და გამრავლდეს კიდეც.

# უცხოეთი

—

**გერმანია.** კანცლერის კაპრივის სამსახურიდგან გადადგომის ამბის გამო საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ზოგიერთი საყურადღებო ცნობა შესახებ იმისა, როგორ იქცეოდნენ ზოგიერთ დასების წარმომადგენელნი და სცდილობდნენ კაპრივი ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, რომ სამსახურიდგან გადამდგარიყო.

ჟურნალის „Die Nation“-ის რედაქტორმა და დეპუტატმა ბარტმ მოიწვია შტეტინის მოქალაქენი და ურჩია, მივმართოთ პარლამენტს და ვსთხოვოთ, არავითარი ღონისძიებანი არ იქმნეს მიღებული წინააღმდეგ კრებათა და მწერლობის თავისუფლებისა. მე დარწმუნებული ვარო, სთქვა დეპუტატმა, რომ პარლამენტი არაოდეს არ მიჰმართავს ასეთს ღონისძიებას, მაგრამ მეტი არ იქნება მოქალაქეთ წინდაწინვე განუცხადონ იმავე პარლამენტს, რომ ამ საქმეში ჩვენ სრულიად გეთანხმებითო.

დეპუტაცის ბარტის აზრით, ბისმარკის მომხრენი იმ გზას დაადგნენ, ვეცადნეთ კაპრივი გადავაყენოთო. თუ რომ კანცლერი არ მიემხრო სახელმწიფოს მზრუნველ-მფარველთ, მაშინ ლიბერალს და დოქტრინერს დაარქმევენ და იტყვიან, კაპრივი იმპერატორის წინააღმდეგია: ვილჰელმი ამბობს, საჭიროა ახალ ღონისძიებათ მივმართოთო და კაპრივი-კი გაიძახის, არავითარი ღონისძიებანი არ არის საჭიროვო. და თუ ვინიცობაა კანცლერმა პარლამენტს ხელმწიფის მიერ მოწონებული პროექტები წარუდგინა, რაიცა ამ ჟამად ძლიერ ადვილად არის შესაძლებელი, მაშინ პარლამენტი ამ პროექტებს არ შეიწყნარებს და იმპერატორს ეტყვიან კანცლერი იმდენად უნიჭო და სუსტი კაცია, რომ ხალხის წარმომადგენლებთან ვერაფერი გააწყოვო. ორთავე შემთხვევაში კაპრივის წირვა გამოსულია. რა თქმა უნდა, საქმე იმდენად თვით კაპრივის არ შეეხება, როგორც წესწყობილებას: გამოჩნდება სხვა ვინმე უფრო მხნე კაცი და საქმე ისევ ძველ ბისმარკეულ კალაპოტში ჩადგება. ასეთია პოლიტიკა სახელმწიფოს მფარველ დასისა.

საყურადღებოა აგრეთვე ალექსანდრე მეიერის სიტყვა, რომელიც მან პარლამენტში წარმოსთქვა. ამ ორატორმა სხვათა შორის სთქვა: სახელმწიფო დაწესებულებანი, თავისუფლება და წარმატება ჩვენის ქვეყნისა იმდენად მჭიდროდ არის ერთმანერთში დაკავშირებული, რომ თუ მთავრობამ ამ კავშირს თავისუფლება გამოაკლო, ამით სრულიად მოსპობს უდიდესს საბუთს მთელის ქვეყნის საეკონომიო, საპოლიტიკო და სხვა ყოველ გვარ წარმატებისას. უკანასკნელ 50 წლის ისტორია გერმანიისა ნათლად ამტკიცებს ამას. 80 წლებში, როცა ბისმარკის დესპოტიზმი მეფობდა, ლიბერალები შეერთდნენ და სცდილობდნენ თავისუფალ დაწესებულებათა, სარწმუნოებისა და მწერლობის თავისუფლების დაცვას. თუ ეხლაც დაგვჭირდა დაცვა გერმანიის ერის ამ უფლებისა, მთავრობას კვლავ დაუხვდება საზოგადოება და წინააღმდეგობას გაუწევს.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

—

საფრანგეთის მთავრობამ წმ. ელენეს მედალით დააჯილდოვა 126 წლის მოხუცი სავენა (ჟანა-ბაპტისტე), რომელიც ბორჯღალივ ეთვალა საფრანგეთის მეორე გუსარის პოლკში. 1812 წელს მდ. ბერეზინაზედ გასვლის დროს რუსებს ჩაუვარდნია ტყვედ, მას შემდეგ სარატოვში სცხოვრობს და რუსის ქვეშევრდომი გამხდარა. ამასთანავე საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა გადასწყვიტა ბ-ნს სავენს კიდრე იცოცხლებს, წლიწადში 600 ფრანკი დაუნიშნოს პენსიად.

### გამოსადეგი ცნობა

—

დრუბელზედ ამოსული მცენარე. აი ადვილი საშუალება, რომ დრუბელში სხვა და-სხვა მცენარე დასთესოთ და გაიზარდოს.

აიღეთ დრუბელი და კარგად დაასველეთ თბილს წყალში; მერე გასწურეთ ისე, რომ ნახევარი წყალი, რაც დრუბელმა შეისვა ისევ გამოვიდეს. შემდეგში დრუბლის ხვრელებში დათესეთ წიწმატის თესლი და სხვა, რაც გნებავთ. ეს დრუბელი ჩასდეთ შესაფერ ჭურჭელში, დასდგით მზის შუქზედ ფანჯარაში და ერთის კვირის განმავლობაში, ყოველ დილით, დანამეთ. ეს საკმარისია, რომ დრუბელზე ამოვიდეს სხვა და-სხვა მცენარე.

### შემოწირულებანი

—

ჩვენ მოგვივიდა ქ ნ ვერა ლუარსაბის ასულის ჯაჯანაშვილისაგან ორმოც-დასათი მან. მის მიერ შეკრებილი ლეჩხუმის მაზრაში რუსთაველისა და ქართულ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ.

აქვე გზავნით შემომწირველთა სიას: ვერა ჯაჯანოვისა 3 მან., გრიგორი ქუთათელაძე 3 მან., მარია ასრიპენკოვისა 1 მან., ბესარიონ გელოვანი 1 მან., სამსონ გარდაფხაძე 50 კაპ., ელიზავეტა ახვლედიანისა 1 მან., ერმალაი გოჯასპირის ძე გელოვანი 1 მან., ერმოლაი მიხეილის ძე გელოვანი 50 კაპ. ანდრია გელოვანი 1 მან., პლატონ ჯაჩელიძე 50 კაპ., მოსოსტარი დადეშკელიანი 3 მან. ალექსი გელოვანი 1 მან., ალექსანდრე გელოვანი 1 მან., მელიტონ ასათიანი 1 მან., გრიგოლ გელოვანი 1 მან., ივანე ლოლაძერიძე 1 მან., ალექსანდრა ნიჟარაძისა 1 მან., ქაიხოსრო გელოვანი 5 მან., ყარამან ჩიქოვანი 50 კაპ, ელენე ჩიკვაიძისა 1 მან., გრამიტონ გელოვანი 1 მან., პავლე გრიგოლია 1 მან., გიორგი ახვლედიანი 50 კაპ., ალექსი მდივანი 1 მან., თეიმურაზ ახვლედიანი 1 მან., გრიგოლ ახვლედიანი 50 კ., ყარამ გარდაფხაძე 1 მან., ანტონ ჩიქოვანი 1 მან., გრიგოლ ჩიქოვანი 50 კაპ. ევსევი გაბნელაძე 3 მან., იასონ ჩიქოვანი 1 მან., მინა ავალიანი 1 მან., რამინაზ ანჯაფარიძე 50 კაპ., სარდიონ ოსეფაშვილი 3 მან., ნიკოლაი კუპრაშვილი 1 მან., ყარამან დოდელიძე 50 კაპ., ლიდია ხაზურზანისი 1 მან., კაკო დოდელიძე 1 მან., სერგეი ტერტეროვი 1 მან., სამსონ ასათიანი 50 კაპ. მელიტონ გარდაფხაძე 1 მან., იაკობ კიკვაძე 1 მან., სულ 50 მანეთი.

აქამდის ორივე ფონდისა, სალიტერატურო და რუსთაველისა იყო: 2248 მან. და 61 კ.

ახლა არის: 2,298 მან. და 61 კ.

### პეტერბურგის ბირჟა, 14 ოქტომბ

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,49 | 7,52 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149½ | 150¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 216 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 101½ |
| 5% . . . . . . | — ,, | — , | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101½ |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 98 ,, | — ,, |

# განცხადებანი

დუხი „საფო“
დუხი „ნევას „კაპრიზი“
დუხი „თეთრი მიუსკი,“
ძალიან გამძლე და სასიამოვნო.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—4—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.
ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.
დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.
ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.
ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.
ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.
ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.
ე. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
(857—1467)

კბილის ექიმი
პ. ი. ჭიჭინაძე
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.
რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.
(50—6.—15)

ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური
ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

ქ. ქუთაისში
ექიმი გ. მ. ფრენკელი
მიიღებს ავადმყოფთ ყოველდღე დილის 9—12-მდე და განსაკუთრებით ათეშანგით და შარდისა და კანის სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდე.
ადრესი: ტფილისის ქუჩა, მიქელაძის სახლი, № 35.
(3—1779—3)

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.
ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში ბ. კალანდაძესთან.
განჯაში დ. ქვლივიძესთან.
ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

ქრისტინე
მოთხრობა
ე. ნინოშვილისა
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ
ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში
ოსანა მკითხავი
მოთხრობა
თავ. იასონ ციციშვილისა
ფასი 15 კაპ.
(3—მ.—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |